პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 10 იანვარი, 1942 წ. № 8 (6324). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა მეომარს მთელი ჩვენი ქვეყანა სიყვარულითა და მზრუნველობით ეკიდება

ამას წინათ გაზეთებში დაიბეჭდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან მიღებული ცნობა სოფელ ვოზნესენსკოეს ბიბლიოთეკის გამგის მარიამ ჟუკოვას და მისი მეგობრების შესანიშნავი საგმირო საქმის შესახებ. რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი ჯარის ნა-

[...]

მელი, რომ მათ შესძლებოდათ ბრძოლა ყოველგვარი ყინვის დროს.

წითელი არმია საუცხოოდ არის ჩაცმული. ამაში ერთხელ კიდევ იჩინა თავი ხალხის ზრუნვამ თავისი მეომრებისათვის. საზამთრო ტანისამოსის იმ კომპლექტს გარდა, რაც ჩვე-

[...]

და თოვლიანი ზამთრის მძიმე პირობებში უტევენ მტერს. წითელი არმია მტკიცედ იტანს ამ სიძნელეებს და წარმატებით ანადგურებს ჰიტლერის ჯარებს. იგი მძიმე, სისხლისმღვრელ ორთაბრძოლაშია ჩაბმული ჰიტლერის არმიის წინააღმდეგ და სძლევს, ურტყამს მტერს. ჩვენმა ხალხმა დროზე იზრუნა იმისათვის, რომ ფრონტზე მყოფ მებრძოლებს საკმაო რაოდენობით ჰქონოდათ თბილი ტანსაც-

[...]

ფრონტზე დაყრდნობილნი, შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას — გაანადგურებენ წყეულ გერმანელ დამპყრობლებს, გაანადგურებენ მათ. მაშ კიდევ უფრო ენერგიულად და თავდადებით დავეხმაროთ ფრონტს! მივცეთ წითელ არმიას ყოველივე ის, რაც მას ესაჭიროება გამარჯვებისათვის!

„პრავდის" მოწინავე, 9/I.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა გადამეტებით შეასრულა წლიური გეგმა

ტყვარჩელი, 9 იანვარი (საქინფორმი). ტყვარჩელქვანახშირის კოლექტივმა დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწია. შარშან მაღაროელებმა ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით 300 ათასი მანეთის მეტი პროდუქცია მისცეს. წლის მეორე ნახევარში — დიადი სამამულო ომის დღეებში აქ ამოღებულ იქნა გაცილებით უფრო მეტი ქვანახშირი, ვიდრე წლის პირველ ნახევარში. ომის პერიოდში 12 პროცენტით გაიზარდა მაღაროს გათხრა, 5

[...]

რის ნაცრიანობა და 6 პროცენტით შემცირებულ იქნა თვითღირებულება.

გასულ წელს ჩატარდა ქვანახშირის მთლიანი ამოღების სისტემიდან სვეტურ ამოღებაზე გადასვლა. ათობით მაღაროელმა შეასრულა ერთნახევარი და 2–3 წლის გეგმა. სამი წლის გეგმაზე მეტი შეასრულა სტახანოველმა მბურღავმა ამხ. ზვერევიჩმა. ერთნახევარი ნორმა შეასრულა პირველმა ამწვენდმა ქალმა — ეფროსინე გრიშმა. ორ-ორი ნორმა შეა-

[...]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 იანვრის დილის ცნობა

8 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა მტერთან გააფთრებული ბრძოლით დაიკავა 4 დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო შემდეგი დავლა: 19 ტყვიამფრქვევი, 1 ზარბაზანი, 2 ნაღმსატყორცნი, 160 შაშხანა, 8 ათასი ვაზნა, 5 რადიოსადგური და მრავალი სხვა სამხედრო ქონება. ფრონტის მეორე უბანზე ამხ. სელეზნიოვის ნაწილმა განდევნა მტერი 3 დასახლებული პუნქტიდან, გაანადგურა გერმანელთა ბატალიონის შტაბი, მოსპო

[...]

თით დატვირთული 2 სამხედრო ეშელონი, მოსპო მტრის ავტოკოლონა და რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი. რაზმმა სოფელ კ-ში იერიში მიიტანა გერმანელთა ქვეგანაყოფზე. პარტიზანები ავტომატებით ხოცავდნენ სახლებიდან გამოცვივნულ გერმანელებს. სოფელ ს-ს მახლობლად პარტიზანები თავს დაესხნენ ფინელთა სადამსჯელო რაზმს. ბრძოლის დროს პარტიზანებმა 22 თეთრფინელი ჯარისკაცი გაჟლიტეს.

* * *

გერმანელი ჯარისკაცი რიჰარდი ქალაქ მიუნსტერში მცხოვრებ თავის მშობლებისადმი მიწერილ წერილში უწყება: „მოკლულ ჯარისკაცთა სია

[...]

9 იანვრის საღამოს ცნობა

[...]

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

440-ე, 471-ე, 555-ე და 274-ე საარტილერიო პოლკების, 289-ე, 296-ე, 509-ე და 760-ე ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკების, 36-ე სამოტოციკლო პოლკისა და კავშირგაბმულობის მე-12 პოლკის გვარდიის პოლკებად გარდაქმნის შესახებ

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის მრავალ ბრძოლაში 440-ე, 471-ე, 555-ე, და 274-ე საარტილერიო პოლკებმა, 289-ე, 296-ე, 509-ე და 760-ე ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკებმა, 36-ე სამოტოციკლო პოლკმა და კავშირგაბმულობის მე-12 პოლკმა მამაცობის, გამბედაობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიმუშები გვიჩვენეს. ამ პოლკებმა, რომლებიც ფაშისტ დამპყრობლებთან განუწყვეტელ ბრძოლებს ეწეოდნენ, უდიდესი ზარალი

[...]

კად — პოლკის მეთაური მაიორი ვ. ა. სოლოვიოვი,

4) 274-ე საარტილერიო პოლკი — გვარდიის მე-4 საარტილერიო პოლკად — პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ა. ი. რატოვი,

5) 289-ე ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი — გვარდიის 1-ლ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკად — პოლკის მეთაური მაიორი მ. კ. ეფრემენკო,

6) 296-ე ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი — გვარდიის მე-2

[...]

სსრ კავშირის პროკურატურაში

[...]

კაზსკაიას რეზერვის უფროსმა კონდუქტორმა ნაგნიბედამ ბრძანება მიიღო ტიხორეცკაიას სადგურიდან ბატაისკის სადგურამდე გაჰყოლოდა მატარებელს. ნაგნიბედამ მოხსნა მატარებელს სიგნალები და უარი სთქვა ბატაისკის სადგურზე წასულიყო იმ საბაბით, რომ ეს მისი უბანი არ იყო. ნაგნიბედას სულ 4 საათი ჰქონდა ნამუშევარი და მატარებლის მიღებამდე 9 საათი დაისვენა. სამხედრო ტრიბუნალმა 10 წლის პატიმრობა მიუსაჯა ნაგნიბედას.

სამხედრო პროკურატურის კვლევაძიებამ გამოააშკარავა ტრანსპორტის ზოგიერთი მუშაკის დანაშაულებრივი მოპყრობა ევაკუირებული მოქალაქეებისადმი.

პენზის მოძრაობის განყოფილების

[...]

ვიდან გადაყვანილ იქნენ საწარმოს ევაკუაციის ადგილას.

27 დეკემბერს ჩამოთვლილმა პირებმა თვითნებურად დასტოვეს მუშაობის ადგილი და მოსკოვს წავიდნენ.

ა. წ. 4 იანვარს ქალ. მოსკოვის სამხედრო პროკურატურამ დააპატიმრა შაპირო, ლებედუშკინი და ბოგდანოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მისცა.

5 იანვარს სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა: შაპიროსა და ბოგდანოვს — რვა-რვა წლის, ხოლო ლებედუშკინს — 6 წლის პატიმრობა.

გარდა ამისა, ამავე განაჩენით ყველა მსჯავრდადებულს სასჯელის მო-

[...]

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები თავდაცვის ფონდში

[...]

ქვეყნის თავდაცვის სახალხო ფონდში.

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს ცნობებით, 1942 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს თავდაცვის სახალხო ფონდში შეტანილი ჰქონდათ: 3.463,4 ცენტნერი ხორცი, 378,7 ცენტნერი რძე, 283,3 ცენტნერი ყველი, 14,5

[...]

ტონა მზესუმზირა, 208,1 ტონა კარტოფილი, 86,4 ტონა ბაღჩეულ-ბოსტნეული, 26,9 ტონა ახალი ხილი, 2,4 ცენტნერი თაფლი, 23,6 ცენტნერი ლობიო, 19,4 ცენტნერი თხილი და წაბლი, 671,3 ცენტნერი თივა, 1.075 ცალი წვრილი ტყავი, აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

კოლმეურნეების მიერ თავდაცვის ფონდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეტანა გრძელდება.

უკანასკნელი ცნობები

ჰიტლერის ჯაშუშები უთვალთვალებენ გერინგს

ჟენევა, 9 იანვარი (საკდესი). როგორც კარგად ინფორმირებული წრეები გადმოგვცემენ, ჰიტლერმა თავის ბანაკში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე მკვეთრი უკმაყოფილე-

[...]

ლურად დღემდე გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალია.

ნიუ-იორკი, 9 იანვარი (საკდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტოს ანკარელი კორესპონ-

[...]

ბრძოლა მოსკოვისათვის

სურათზე: ჯავშნიანი მატარებლის მეთაური კაპიტანი ა. ჯახიევი საბრძოლო ოპერაციაზე მატარებლის გასვლის წინ მეთაურებს უხსნის ამოცანას. მარცხნიდან მარჯვნივ: ბაქნის მეთაური ფ. სოჩენკო, მატარებლის კომისარი ბ. პოლიუშკი, მატარებლის მეთაური ა. ჯახიევი და მატარებლის მეთაურის თანაშემწე ნ. სმირნოვი.

ფოტო ბ. ეიბერგისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სამამულო ომის ფრონტებზე

მამაცობისა და გმირობის მაგალითები

დასავლეთის ფრონტი, 8 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სამშობლოსათვის ბრძოლებში წითელი არმიის მეომრები ყოველდღე ამჟღავნებენ მამაცობისა და უსაზღვრო გმირობის მაგალითებს. იზრდება და მტკიცდება მათი საბრძოლო შეტევითი სულისკვეთება. სულ უფრო-და-უფრო მძაფრად მუსრავენ ისინი გერმანელ ფაშისტთა ბანდებს, შურს იძიებენ ჩვენი გადაბუგული ქალაქებისა და სოფლებისათვის, გაძარცული ყანებისათვის, ჩვენი ხალხის შებილწული სიწმინდეებისათვის, იმ საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც დახოცეს და რომლებმაც წამებაში დალიეს სული.

მტერთან ერთ-ერთ ცხარე შეტაკებაში კომუნისტ უსენკოს დაევალა თავისი დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლით დახმარებოდა ჩვენი ქვეითების შეტევას. გერმანელები მთელ მიდამოს უშენდნენ ცეცხლს. უსენკომ გადასწყვიტა ჩაეჩუმებინა მტრის სატყვიამფრქვევო და საავტომატო წერტები. იგი ხელის ტყვიამფრქვევით შეიარაღდა და გაბედულად მიიწევდა წინ. უსენკო ვერ შეაჩერა ვერც ნაღმების ნამსხვრევებმა, ვერც მტრის ტყვიამფრქვევების გრიგალისებრმა ცეცხლმა. იგი თოვლზე მიცოცავდა გერმანელთა სანგრებისაკენ...

როცა მოწინააღმდეგემდე სულ ზევრი 50 მეტრი დარჩა, უშიშარი მეომარი გაწვა და მოულოდნელად ტყვიამფრქვევი დაუშინა გერმანელებს. 12 გერმანელი ჯარისკაცი მოცელილივით დაეცა, მაგრამ ამ მომენტში ვაზნა გამოილია. მაშინ უსენკო მთელი სიმაღლით გაიმართა და ძახილით: „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ გაექანა წინ და თან გაიყოლია მებრძოლნი. წითელარმიელები მტრის სანგრებში შეიჭრნენ და დაიწყეს გერმანელების განდევნა საფარიდან ხიშტებითა და გრანატებით. მტერმა ვე[illegible] გაუძლო ჩვენი მებრძოლების მძაფრ იერიშს, შედრკა და მოკურცხლა. უსენკომ გერმანელთა სანგრებში მიტოვებული ტყვიამფრქვევი ელვის სისწრაფით შეატრიალა უკუქცეული ფაშისტებისაკენ და კვლავ დააყარა მათ ტყვია.

მტრის მნიშვნელოვანი თავდაცვითი ზღუდე ჩვენს ხელში გადმოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ გერმანელები ნაღმსატყორცნების დახმარებით შეეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები. ისინი არაერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ ყოველთვის თოფისა და ტყვიამფრქვევის მარჯვე ცეცხლს ხვდებოდნენ და უკან გარბოდნენ.

ამ ბრძოლაში კომუნისტი უსენკო მამაცურად დაიღუპა საბრძოლო პოსტზე თავის ტყვიამფრქვევთან, როგორც ნამდვილი გმირი.

შესანიშნავი გულადობა და მამაცობა გამოიჩინა სერჟანტმა ევდოკიმოვმა. იგი მზვერავთა ჯგუფს მეთაურობდა. ტყეში თოფის სროლა და ყვირილი მოესმა: გერმანელებს იერიში მოჰქონდათ ჩვენს მებრძოლებზე, რომლებსაც გარს შემორტყმოდნენ. სერჟანტმა ევდოკიმოვმა გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დახმარებოდა ამხანაგებს. ძალები ცოტა ჰყავდა, მაგრამ საქმეს უშველა სამხედრო ხერხიანობამ, რუსულმა საზრიანობამ. მან ოსტატურად განალაგა თავისი მეავტომატენი, დიდი ქვეგანაყოფის შთაბეჭდილება შექმნა, შემდეგ კი გერმანელებს ეკვეთა. ფაშისტებმა იფიქრეს, ჩვენს წინააღმდეგ მთელი ასეული მოდისო, და თავზარდაცემულნი გაიქცნენ. გარშემორტყმული 27 წითელარმიელი თავისიანებს შეუერთდა. ჩვენი მებრძოლების გადარჩენასთან ერთად, ევდოკიმოვმა ტყვედ ჩაიგდო გერმანელი მეკავშირე.

ი. გრიგოვი.

გვარდიელ კავალერისტებთან

მოქმედი არმია, 8 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს 31-ე ცხენოსან დივიზიაში, რომელსაც ორდენოსანი პოდპოლკოვნიკი ბორისოვი მეთაურობს, დიდი სიხარულია: მიღებულია ცნობა, რომ გერმანელ ფაშიზმთან ბრძოლებში მიღწეული შესანიშნავი წარმატებებისათვის დივიზია გარდაქმნილია გვარდიის დივიზიად.

გვარდიელი ცხენოსნები გაავთრებულ ბრძოლას ეწევიან უკუქცეულ მტერთან, ულობავენ მათ უკან დახევის გზებს, ხოცავენ მტრის ცოცხალ ძალას, სპობენ მის ტექნიკას. ცხენოსნები ერთი უბნიდან მეორეში მიჰქრიან, სდევნიან და სპობენ მტერს. ისინი სულ მუდამ საბრძოლო რეიდებში არიან, მაგრამ სასიხარულო ცნობა მყისვე მიედო მებრძოლებს, სადაც კი იყვნენ ისინი. ამ ცნობას საველე ტელეფონის მავთულებით გადასცემდნენ ერთი ქვეგანაყოფიდან მეორეში. იგი მოწინავე პოზიციებზე მიჰქონდათ მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს. მას ერთმანეთს გადასცემდნენ მებრძოლნი.

ესკადრონები წინ მიისწრაფიან. ქვეგანაყოფებიდან იუწყებიან, რომ ცხენოსნებმა ახალ საბრძოლო წარმატებებს მიაღწიეს. ლეიტენანტ კოლედის ესკადრონი მძაფრი ნახტომით მტრის ფლანგში მოექცა, დახოცა 50 გერმანელი ოკუპანტი და ხელთ იგდო დიდი დავლა. უფროს ლეიტენანტ სოშენკოს ესკადრონმა მოსპო ფაშისტთა 20 საზიდარისაგან შემდგარი ალალი.

— ბრძოლაში ჩვენს ხელთ ვიქონიოთ ინიციატივა,—ასეთია გვარდიელების დევიზი.

ბრძოლების დროს თავი ისახელეს დივიზიის ათობით და ასობით მებრძოლებმა და მეთაურებმა. ბრძოლის ველზე ნამდვილ გმირებად გვიჩვენეს თავი მაიორებმა—ბოროდინმა და რუმიანცევმა, ესკადრონების მეთაურებმა—სოშენკომ, კოლედამ და ალეევმა, ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა სტაროვოიტოვმა და სხვებმა. ისინი თავიანთი მამაცობითა და გულადობით ბრძოლისათვის აღაგზნებენ ყველა კავალერისტს. დაჭრილი გვარდიელიც კი თავზარსა სცემს მტერს. რამდენიმე დღის წინათ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა წითელარმიელი სოროკინი. მას გარს შემოერტყა 3 გერმანელი. სოროკინმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა, მისწვდა კარაბინს და, მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერებას ჰკარგავდა, ერთი-მეორეზე დახოცა მტრები.

გვარდიელმა კავალერისტებმა უჭკნობი დიდებით შემოსეს თავიანთი დროშები,—მათ განდევნეს გერმანელები ტულიდან, ისინი გმირულად მოქმედებდნენ კალუგასთან. მათ დახოცეს რამდენიმე ათასი გერმანელი ოკუპანტი. წინ ახალი ბრძოლები მოგველის, და ამ ბრძოლებში ყოჩაღი ცხენოსნები კიდევ გვიჩვენებენ მამაცობის, გულადობისა და გმირობის არნახულ მაგალითებს.

ვ. კრილოვი.

ინგლისური პრესა კონგრესისადმი რუზველტის მიმართვის შესახებ

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისური პრესა მხურვალედ მიესალმება რუზველტის მიმართვას კონგრესისადმი და სპეციალურად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრეზიდენტმა გამოაქვეყნა შეიარაღების გიგანტური პროგრამა და განაცხადა: ამერიკის ჯარები გამოყენებულ უნდა იქნან დედამიწის ყოველ ნაწილში, სადაც კი მტრისათვის ბრძოლის გამართვა მიზანშეწონილი იქნებაო. „ტაიმსი“ სწერს: „ღერძის სახელმწიფოთა გეგმები, რომელთა განხორციელებასაც ისინი იაპონიის საშუალებით ვარაუდობდნენ, უკვე ჩაიშალა“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკა სრულიადაც არ დამარცხებულა პირლ ჰარბორზე თავდასხმით, არამედ მან სტიმული მიიღო იმისათვის, რომ გადაჭრით, თავის ისტორიაში უმაგალითო ერთიანობით იმოქმედოს. იაპონელებს,—აცხადებს გაზეთი,—იმის იმედი აქვთ, რომ ომი შორეულ აღმოსავლეთში ხანმოკლე იქნება, ისევე როგორც გერმანელებს ჰქონდათ იმის იმედი, რომ ევროპაში ომი ხანმოკლე იქნებოდა. ამერიკა და მისი მოკავშირენი ხანგრძლივი ომისათვის ემზადებიან. მათ მოეპოვებათ საამისოდ საჭირო საშუალებანი და ნებისყოფა. შესაძლოა, რომ მალაიასა და ჰოლანდიის ინდოეთში ისინი ერთხანს მხოლოდ თავდაცვას განაგრძობენ, მაგრამ რუზველტმა სრული საფუძვლით განაცხადა, ომს მარტო თავდაცვითი ხასიათი არ ექნებაო.

„დეილი მეილი“ ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიარაღების წარმოების გეგმას და აცხადებს, რომ ჯერ კიდევ არა ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მეომარ მხარეს ასეთი გრანდიოზული გეგმა შეემუშავენა. პრეზიდენტს შეუძლია აშკარად განაცხადოს თავისი განზრახვები, რადგან მან იცის, რომ ღერძის სახელმწიფოები შეერთებულ შტატებს მეტოქეობას ვერ გაუწევენ.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ყველა თავისუფალი ხალხი გასწევს წინ და გაშლის სულ უფრო და უფრო მეტ ძლიერებას, ხანამ მტერი იმდენად არ იქნება დამარცხებული, რომ ვერასოდეს ვერ გასწორდეს წელში.

გერმანია აძლიერებს ვიშის მთავრობაზე ზეგავლენას

ჟენევა, 8 იანვარი (საკდესი). უკანასკნელ ხანს პარიზის გაზეთებმა, რომლებიც ნაცისტების სრულ კონტროლქვეშ იმყოფებიან, კამპანია დაიწყეს პეტენის მთავრობის წინააღმდეგ. როგორც ფიქრობენ, ეს კამპანია, რომელიც გერმანიის პარიზელი წარმომადგენლის აბეცის ბრძანებით დაიწყო, მიზნად ისახავს ვიშიზე ზეგავლენის მოხდენას, რათა მოაწყონ მისგან კიდევ უფრო მეტ დათმობას საფრანგეთის ფლოტისა და ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში არსებულ საფრანგეთის საზღვაო-სამხედრო ბაზების გამოყენების საკითხში.

ნაცისტების შინტაჟის ახალი პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ნაცისტების კონტროლქვეშ მყოფ პარიზულ გაზეთ „ევრში“ ამას წინათ გამოქვეყნებული სტატია და ცნობილი ფრანგი კვისლინგელის — მარსელ დეას გამოსვლა რადიოთი. გაზეთი „ევრი“ მუქარის ტონით აცხადებს, რომ „საფრანგეთი ახლა კიდევ უფრო საშიშ მდგომარეობაშია, ვიდრე დროებითი ზავის დადების წინ იყო“. პარიზში,—სწერს შემდეგ გაზეთი,—ისეთი ვითარება შეიქმნა, თითქოს პოლიტიკური პუტჩი უნდა მოხდესო.

მარსელ დეამ რადიოთი მკვეთრად გაილაშქრა პეტენის მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად დასდო „არასკმაო დამთმობლობა“. „15 თვის განმავლობაში,—შეიძლება ნაცისტებს გამოუსვლელი პოლიტიკა დაუძლებიათ“. [illegible] ბოვს და,—ვიშის მთავრობა მხოლოდ კომედიას თამაშობდა ღრმის მოგების იმედით. ასეთი პოლიტიკა შეიძლება დაღუპვით დამთავრდეს“. დეა იძულებულია აღიაროს რომ საფრანგეთს მოიპოვება გერმანიასთან თანამშრომლობის პოლიტიკის მრავალი მოწინააღმდეგე და დე გოლის ფარული მომხრე. ფრანგი კვისლინგი თავის გამოსვლას ამთავრებს მუქარით—„ჩვენს მოთმინებას საზღვარი აქვს. ჩვენ ვერ შევეწყნარებით გერმანიის მტრების საქმიანობას“.

ჟენევის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ: ისეთი სამოქმედო ღონისძიების გამოყენება ვიშის მთავრობაზე გერმანელთა ზეგავლენის გაძლიერება იმას მოწმობს, რომ გერმანელებს განზრახვა აქვთ პეტენის ახალი, კიდევ უფრო მკაცრი მოთხოვნები წაუყენონ.

გენერალი ვლ. სიკორსკი ლონდონს დაბრუნდა

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, გენერალი ვლ. სიკორსკი, საბჭოთა კავშირსა და ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობის შემდეგ, ლონდონს დაბრუნდა.

უცხოეთის პრესა წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციების შესახებ

ნიუ-იორკი, 8 იანვარი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი კიმლი სწერს, რომ საბჭოთა კავშირის ყოველი ახალი გამარჯვება მოწმობს ჰიტლერის „დიდს და, შესაძლოა, საბედისწერო შეცდომასაც, რომელიც მან ჩაიდინა, როდესაც თავს დაესხა რუსეთს“. აღსანიშნავია ის ფაქტი,—სწერს კიმლი,—რომ გასულ თვეში გერმანელები განუწყვეტლივ იხევდნენ უკან და რომ საბჭოთა ჯარების შეტევა შეუნელებელი ძალით ხორციელდება. მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა თვითონ იკისრა არმიის სარდლობა, გერმანელთა ზარალი მატულობს, ხოლო გერმანიის ჯარები უკან იხევენ იმ პოზიციებიდან, რომელთა შენარჩუნებასაც ფიქრობდა ჰიტლერი ზამთრის განმავლობაში.

კიმლი უარჰყოფს მტკიცებას იმის შესახებ, რომ გერმანელთა უკანდახევის ძირითად მიზეზს ზამთრის სიცივეები წარმოადგენს. ძირითადი როლი,—სწერს იგი,—შეასრულა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელების გამოცდილებამ, რუსეთის არმიის უპირატესობამ და საჰაერო განუწყვეტელმა დენამ, რისი მოწყობაც რუსებმა შესძლეს. ახლა სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზამთარში საფუძველი ჩაეყრება ჰიტლერის დაცემას.

გაზეთ „ნიუ-იორკ სინის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აცხადებს: „ვაშინგტონელი მეთვალყურეები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ გერმანიის არმიები რუსეთში ნამდვილი კატასტროფის წინაშე დგანან. რუსების შეტევა ზამთრის განმავლობაში ჩაფუშავს ნაცისტთა ყველა გეგმას“.

ცნობილი ინგლისელი მწერალი პრისტლი გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ მოთავსებულ სტატიაში სწერს: გერმანელებმა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომი დაიწყეს უსაზღვრო ბაქიობით და არც კი უფიქრიათ გადაკვრით მაინც ეთქვათ, რომ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა მოელით. „რუსები,—აღნიშნავს პრისტლი,—არა ტრაბახობენ. მათ მხოლოდ განაცხადეს, რომ განზრახვა აქვთ შეუპოვრად იბრძოლონ და არაფერი არ დაუტოვონ დამპყრობლებს. და მათ ეს შეასრულეს კიდევაც. ახლა რუსები არ მიჰმართავენ მაღალფარდოვან განცხადებებს თავიანთ წარმატებათა შესახებ, არამედ განაგრძობენ მტრის შეუპოვრად მოსპობას. ნაცისტთა ტონი კი სულ უფრო და უფრო ნაკლებ იმედიანი ხდება და ტრაბახით აღსავსე ცალკეული განცხადებანი თითქმის სრულიად აღარ მოისმის თავისმართლების ნიაღვარში“.

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). გაზეთ „დეილი მირორის“ მიმომხილველი კასანდრა სწერს, რომ უკანასკნელი თვის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა დიდი ტერიტორია გასწმინდეს მტრისაგან. რუსეთის დამცველმა ჯარებმა,—სწერს მიმომხილველი,— უფრო მეტი ამტანობა, გამბედაობა და ოსტატობა გამოიჩინეს, ვიდრე ნაცისტთა რჩეულმა დივიზიებმა. საბჭოთა საჰაერო მაღალ დონეზე აღმოჩნდა.

ინგლისური პრესის გამოხმაურება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტაზე

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). ინგლისური გაზეთები და რადიო დიდ ყურადღებას აქცევენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტას გერმანელ ხელისუფალთა მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე მათი საყოველთაო ძარცვის, მოსახლეობის აკლებისა და საშინელი მხეცობის შესახებ. გაზეთი „დეილი მეილი“ ნოტას პირველ გვერდზე აქვეყნებს და სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელებმა სავსებით უნდა აგონ პასუხი მთელი იმ ზარალისათვის, რაც მათ რუსეთს მიაყენეს. გაზეთები „დეილი ჰერალდი“, „ნიუს ქრონიკლი“ და „დეილი ექსპრესიც“ მსხვილი სათაურებით აქვეყნებენ პირველ გვერდზე ვრცელ ამონაწერებს ამხ. მოლოტოვის ნოტიდან. ნოტის შინაარსს ათავსებენ აგრეთვე გაზეთები „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ და „ტაიმსი“.

გაზეთი „დეილი მეილი“ თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ მოლოტოვის ნოტამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ეს ნოტა ყველაზე საშინელ ბრალდებას წარმოადგენს, როგორიც კი როდესმე წამოუყენებიათ, რომელიმე ერის წინააღმდეგ. ნოტაში ზედიზედ იყო დაწვრილებით აწერილი გერმანელთა მიერ ქალაქებსა და სოფლებში ჩადენილი მხეცობა. ძარცვა, ძალადობა, მკვლელობა და ცეცხლის წაკიდება ყოველივე ეს ზუსტად და აბსოლუტური ობიექტურობით არის გადმოცემული.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ვაშინგტონი, 8 იანვარი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ფილიპინების მთელ ფრონტზე განახლდა გააფთრებული ბრძოლა. მტერი აძლიერებს შემოტევას ყველა უბანზე. მტრის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავს და ტყვიამფრქვევებს უშენს ამერიკისა და ფილიპინების იმ ჯარებს, რომლებიც ფრონტის მოწინავე პოზიციებზე იმყოფებიან. თავდამცველი ჯარები განაგრძობენ მტრისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევას. 6 იანვარს მტერმა კვლავ დაბომბა ჰაერიდან კორეგიდორის კუნძულზე არსებული სიმაგრეები, აგრეთვე ბატანის ნახევარკუნძული. დაბომბვა რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ზარალის რაოდენობა გამორკვეული არ არის. ამ თავდასხმაში მტრის სულ ცოტა 45 ბომბდამშენი მონაწილეობდა. ამერიკის საზენიტო ქვემეხებმა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ლუსონის კუნძულზე შემოჭრის მომენტიდან იაპონელებმა დაბომბეს მთელი რიგი ისეთი ქალაქები, რომლებსაც სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ, მათ შორის ქალაქები—ბალერი, სანტაროსა, კალმბა და ტარლაკი. ყველა ეს ქალაქი სავსებით დანგრეულია.

სხვა რაიონებში არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). ინგლისის სინგაპურის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სელანგორის ფრონტზე დიდი ოპერაციები არა სწარმოებს. ინგლისის სარდლობამ დაიწყო ოპერაციების გაშლა მტრის იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებმაც მდინარე ბერნამიდან მდინარე სელანგორამდე გაჭიმულ ტენგის ჰაობს შემოუარეს და მდინარე ბერნამით შემოიჭრნენ ინგლისის ჯარების განლაგებაში.

გუშინ ინგლისის ავიაციამ ძლიერ დაბომბა ბანგკოკის სამხედრო ობიექტები. ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი, რომელსაც შორ მანძილზე ხედავდნენ უკან გამობრუნებული მფრინავები. ინგლისის ყველა თვითმფრინავი უვნებლად დაბრუნდა ბაზაში.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობა

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ წუხელ იაპონიის 8 თვითმფრინავი ცდილობდა იერიში მოეტანა ჰოლანდიის ინდოეთის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ სამხედრო ობიექტებზე. მტერმა 20 ბომბი ჩამოჰყარა. სამოქალაქო მოსახლეობაში არის 3 მოკლული და 2 დაჭრილი.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩანშის რაიონში (ხუნანის პროვინცია) ჩინეთის ჯარები განაგრძობენ შეტევის განვითარებას. როგორც სენტრალ ნიუსის სააგენტო აღნიშნავს, იაპონიის ჯარების ჯგუფი, რომელიც ხუანდულინს (ჩანშის ჩრდილოეთით) ინარჩუნებდა, მთლიანად იქნა მოსპობილი 4 იანვარს. იაპონიის ჯარები უკან იხევენ და ცდილობენ გაარღვიონ ჩინელთა რკალი. ფრონტის ამ უბანზე დიდ აქტივობას იჩენს ჩინეთის არტილერია, რომელიც ქვეითი ჯართან კონტაქტში მოქმედებს.

ჩინეთის ჯარების მიერ რამდენიმე მიმართულებით მიტანილი იერიშების შედეგად, იაპონიის ჯარის ნაწილებს, რომლებიც მდინარე ლიუანსა და ლაოტაოს შორის იმყოფებიან, დიდი ზარალი მოუვიდათ. ამასთან ჩინეთის ჯარები განაგრძობენ იაპონელთა ზურგში მოქმედებას.

ცენტრალურ ჩინეთში მყოფი იაპონელთა ჯარების სარდლობის მოხსენების თანახმად, იაპონიის ჯარის ნაწილები ჩანშის რაიონში „უკან იხევენ სტრატეგიული მოსაზრებით“.

ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ოპერაციების შედეგად ჩინეთის ჯარებმა მთელი რიგი პუნქტები დაიკავეს.

8 იანვარი (საკდესი).

ეგვიპტემ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა ვიშისთან

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ვიშის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

დაძაბული მდგომარეობა სლოვაკიაში

ლონდონი, 9 იანვარი (საკდესი). ლონდონის ჩეხოსლოვაკიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სლოვაკიის ჯარების დიდი ზარალის გამო, სლოვაკიის მოსახლეობაში შეშფოთება იზრდება. ვითარება იმდენად დაძაბულია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ გაბედეს გამოეცათ მომზადებული ბრძანება მოსახლეობისათვის თბილი ტანისამოსის ჩამორთმევის შესახებ, ხოლო ფრონტზე მყოფი ჯარებისათვის ფულის შეგროვება, რაც 5 იანვრისათვის იყო დანიშნული, გადასდეს.

ბომბის აფეთქება პარიზის ვაგრამის დარბაზში

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პარიზში, ეტუალის მოედნის რაიონში, ვაგრამის დარბაზში, ნელი მოქმედების ბომბის აფეთქების შედეგად, მოკლულია 5 და მძიმედ დაიჭრა 14 გერმანელი ოფიცერი.

დიეპში მოჰკლეს ერთი გერმანელი ოფიცერი; სერიოზულად დაჭრილია 3 ოფიცერი.

სამხარი მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ცუდი ხილვადობა და ქარიშხლიანი ამინდი ძლიერ უშლიდნენ ხელს ინგლისის მოძრავი რაზმების და ინგლისის ავიაციის მოქმედებას მოწინავე რაიონებში. ამინდის ცუდი პირობები ზღუდავდნენ აგრეთვე საჰაერო ოპერაციებს ჰალფაიის რაიონში მტრის პოზიციების წინააღმდეგ. მაგრამ ამ რაიონში მტრის იზოლირებული გარნიზონის გარშემო განუწყვეტლივ იკვრება ინგლისის ჯარების რკალი.

ფაშისტები სამხედრო ტყვეებს სძარცვავენ

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, შვეციის პრესა გადმოგვცემს, რომ გერმანელები ცდილობენ თბილი ტანისამოსით მოამარაგონ გერმანიის ჯარები, რომლებიც რუსეთში იყინებიან, და ამისათვის ტანსაცმელს ართმევენ სამხედრო ტყვეებს. სენ-დენის (საფრანგეთი) საკონცენტრაციო ბანაკში გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნივთები გაუჩხრიკეს ბანაკში მოთავსებულთ, რომელთა შორისაც უმრავლესობას ინგლისელები შეადგენენ, და მათ მთელი თბილი ტანსაცმელი წაართვეს.

დამატებითი ცნობები ნორვეგიის სანაპიროზე ინგლისელთა რეიდის შესახებ

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გამოქვეყნდა ინგლისის საზღვაო სამინისტროს და ავიაციის სამინისტროს ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: „ინგლისის ფლოტმა და ავიაციამ 6 იანვარს ღამით კომბინირებული რეიდი მოახდინეს ნორვეგიის სანაპიროზე, რათა თავს დასხმოდნენ მტრის გემებს. მსუბუქი ხომალდები შეცვიდნენ ჰელე-ფიორდში, ზერგენსა და ტრონჰაიმს შორის, რამდენიმე საათი გაატარეს იქ და ეძებდნენ მტრის გემებს, მაგრამ აღმოაჩინეს მხოლოდ საშუალო წყალწყვის ერთი გემი ქალაქ ფლუროს მახლობლად. ეს გემი და ორი ტრალერი, რომლებიც გერმანელთა კონსერვის ფაბრიკასთან იდგა, დაუყოვნებლივ ჩაძირეს, ხოლო ფაბრიკა დაანგრიეს. სუსტი ხილვადობა, თოვლი და წვიმა ხელს უშლიდნენ სანაპიროს დაკვირვებას.

მტერი სრულიად არ მოელოდა თავდასხმას და სუსტი წინააღმდეგობა გაგვიწია. ინგლისის ავიაცია წელს უწყობდა საზღვაო ძალების მოქმედებას. სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა მნიშვნელოვანი დაზვერვა მოახდინეს.

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა აგრეთვე მტრის აეროდრომს სოლაში, სტავანგერის მახლობლად. თავდასხმაში მონაწილეობა მიიღეს „უიტლის“ ბომბდამშენებმა. ინგლისის ხომალდებს არც ზიანი ჰქონიათ და არც დანაკლისი; ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზებში“.

საჰაერო თავდასხმა მალტაზე

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი მალტიდან იუწყება, რომ უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში კუნძულზე 6-ჯერ გამოცხადდა საჰაერო განგაში. მაგრამ მარტო ერთმა თვითმფრინავმა შესძლო ჩამოეყარა ბომბები, რომლებსაც არავითარი ზარალი არ გამოუწვევიათ. მსხვერპლი არ არის. 5 იანვრის ღამის განმავლობაში მალტას თავს არ დასხმია მტრის ავიაცია, რაც პირველი შემთხვევაა უკანასკნელი 3 კვირის განმავლობაში.

ბრესტისა და სენ-ნაზერის დაბომბვა

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 7 იანვარს ღამით, გააფთრებით იქნა დაბომბილი გერმანიის საზღვაო ბაზები ბრესტი და სენ-ნაზერი. ამ ოპერაციების შემდეგ ინგლისის ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზებში.

გერმანელთა მხეცური თარეში ვარშავაში

ნიუ-იორკი, 9 იანვარი (საკდესი). როგორც ოვერსის ნიუსის სააგენტო გადმოგვცემს, ვარშავიდან ნოემბერში გამოქცეული პირები აცხადებენ, რომ ნაცისტები მასობრივ მკვლელობას და დაპატიმრებას ისეთივე სისასტიკით განაგრძობენ, როგორც ვარშავის დაკავების პირველ დღეებში. გერმანელი მხეცი ცდილობს მოსპოს მოსახლეობაში ყველა ის ელემენტი, რომლებსაც შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ნაცისტურ რეჟიმს. საყოველთაო ჩხრეკა, რაც ვარშავაში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, მიზნად ისახავს პოლონელი პატრიოტების დაჭერას, გაძლეტას და გერმანიის მომარაგებას მუშა-ხელით. ასეთი ჩხრეკის დროს ქუჩებში დაკავებულ 12-დან 60 წლამდე ასაკის პოლონელებს საკონცენტრაციო ბანაკში ჰგზავნიან, სადაც მათ სტერილიზაცია უნდა გაიარონ. ამის შემდეგ მათ გერმანიისა და პოლონეთის შრომის ბანაკებში ანაწილებენ. ამ ბანაკში გაგზავნილნი უკვე შინ არასოდეს აღარ ბრუნდებიან იმათ გარდა, ვინც ჰკუაზე შეიშლება ან ტრაქომით დაავადდება; ამათ უკან აბრუნებენ.

ღამ-ღამობით ნაცისტი „ვაჟკაცები“ პოლონელებს სახლებში უვარდებიან და ეძებენ ისეთ პროდუქტებს, როგორიც არის ხორცი და კარაქი, რომელთა ჭამაც პოლონელებს აკრძალული აქვთ. ჩხრეკის დროს თუ აკრძალული პროდუქტების კვალს აღმოაჩენენ, მაშინ მთელ ოჯახს აპატიმრებენ. ვარშავაში სურსათის მხრივ მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ პოლონელები საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნას არ ერიდებიან და ახლომდებარე სოფლებში მიდიან სურსათის საძებნელად.

ვარშავიდან ჩამოსული ლტოლვილები გვიამბობენ, თუ როგორ გაიხრწნენ გესტაპოელები, რომლებიც ქრთამით იძლევიან აკრძალული საათის შემდეგ ქალაქში სიარულის ნებართვას და სხვა შეღავათებს.

ზოგიერთი მნახველი აცხადებს, რომ ვარშავის გეტოში სიკვდილიანობამ უდიდეს მასშტაბს მიაღწია. შიმშილით, სიცივითა და ავადმყოფობით ყოველდღე 400-ზე მეტი ებრაელი კვდება. ინდივიდუალური დასაფლავება აკრძალულია და გეტოში გარდაცვლილთ ასობით ჰყრიან ერთ საერთო ხაფლავში. ვარშავის გეტოში ებრაელებს სრულიად არ გააჩნიათ საპონი ან რაიმე სადეზინფექციო საშუალება. გეტოს 30 ათასამდე მცხოვრები ავათ არის. ებრაელებს ნებადართული აქვთ სჭამონ მხოლოდ სრულიად უვარგისი შავი პური, რომელსაც ისინი დღე-ღამეში სულზე 50 გრამს იღებენ.

სისხლიანი ტერორის მიუხედავად, პოლონეთში მუშაობას განაგრძობენ საიდუმლო ანტინაცისტური ორგანიზაციები. ნოემბერში ვარშავაში იყო 6 ანტიფაშისტური ორგანიზაცია, რომლებსაც საიდუმლო რადიოსადგურები ჰქონდათ და რომლებიც სულ მცირე 3 არალეგალურ გაზეთს უშვებდნენ. ნაცისტები ამ ორგანიზაციებს აბრალებენ სამხედრო მატარებლების მარცხს, საწყობებისათვის ცეცხლის წაკიდებას და სამოქალაქო მასალის დატაცებას.

უკმაყოფილების ზრდა ფინეთში

ნიუ-იორკი, 8 იანვარი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს სტოკჰოლმელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იქ ძლიერდება უთანხმოება ფინელებსა და გერმანელებს შორის. მარტო უკანასკნელ ხანს ჰელსინკის ქუჩებში მომხდარ შეტაკებათა დროს მოკლულია სულ მცირე 20 გერმანელი ჯარისკაცი. ფინელები აღშფოთებული არიან იმით, რომ ნაცისტები პროსტიტუციას ავრცელებენ და ამ მიზნით იმ გარემოებას იყენებენ, რომ ფინელი ქალები დამშეულნი არიან. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გამწვავდა ფინეთის საერთო სასურსათო მდგომარეობა. ფინელებსა და გერმანელებს შორის უთანხმოებას, გაძლიერების შედეგად გესტაპომ თავისი კონტროლი დაუწესა ფინეთის პოლიციაზე ჰელსინკისა და სხვა ქალაქებში. გერმანიის არმიის დამარცხება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე კიდევ უფრო ამწვავებს და აძლიერებს უთანხმოებას ფინელ მოსახლეობასა და გერმანელებს შორის.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სტოკჰოლმელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ფინეთი კრიზისს უახლოვდება და მას შეუძლია თავი დააღწიოს ამ კრიზისს მხოლოდ მაშინ, თუ სწრაფად აიღებს ხელს იმ პოზიციაზე, რომელსაც მისი ახლანდელი მთავრობა იცავს. შვეციის წრეები დარწმუნებული არიან, რომ ფინეთში არსებული მოვლენები გამოიწვევს ზოგიერთ ახალ წარმატებებს, ნორვეგიის კუნძულებზე ინგლისელთა თავდასხმით და ფინეთის საშინელი სასურსათო მდგომარეობით. ფინეთში არსებული შეშფოთების ნათელსაყოფად, — განაგრძობს კორესპონდენტი, — შეიძლება მოვიყვანოთ ფინურ გაზეთ „სუომენ სოციალ-დემოკრატის“ სტატია, რომელშიაც უარყოფილია ნაცისტური ლოზუნგი ფინეთისათვის „საარსებო სივრცის“. გაზეთი აცხადებს, რომ ფინეთისათვის ეს პრობლემა არ არსებობს, ვინაიდან „მუშებისათვის საარსებო სივრცეს თავისუფლება წარმოადგენს“. გაზეთის სიტყვით, ფინელ ხალხს არა სურს სსრ კავშირის წინააღმდეგ ომი. როგორც იგივე ფინური გაზეთი იუწყება, მუშების წარმომადგენლებმა ფინეთის მთავრობას განუცხადეს, რომ ხალხს აღარ შეუძლია გაუძლოს ახლანდელ დაძაბულობას, განსაკუთრებით ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არის ჰელსინკი, სადაც სასურსათო მდგომარეობა აუტანელი გახდა. გაზეთი აცხადებს, რომ მუშები იმის შეწყვეტას მოითხოვენ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბერნელი კორესპონდენტი აგრეთვე გადმოგვცემს, რომ, ფინეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, იქ ძლიერდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ ფინეთი კვლავ სამხედრო დახმარებას უწევს გერმანიას. შვეიცარიულ გაზეთ „ნაციონალ ცაიტუნგის“ სტოკჰოლმელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ უკმაყოფილება განსაკუთრებით მკვეთრად გამოთქვამენ ფინელი მუშები, რომელთაც სურსათისა და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნების ნაკლებობა სტანჯავს.

ჟენევა, 8 იანვარი (საკდესი). როგორც შვეციის პრესა იუწყება, ფინელთა ერთადერთი სახის საკვებს კარტოფილი წარმოადგენს, მაგრამ ბევრ ქალაქში, მაგალითად, ტამერფორსში, აბოში და სხვ. კარტოფილიც არ იშოვება. ნახევრადშიმშილის გამო მკვეთრად გადიდდა სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობა. გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენ-ში“ [illegible] განსაკუთრებული ეპიდემია დაიწყო.

შვედური გაზეთ „დაგენს ნიჰეტერის“ კორესპონდენტი შემდეგნაირად აგვიწერს ფინელის საშუალო ოჯახის ცხოვრებას: „მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის მეთაურიც და მისი ცოლიც მუშაობენ, ფული მაინც არა ჰყოფნით არა მარტო ბინისა და გათბობისათვის, არამედ საჭმლისთვისაც. მაგალითად, დეკემბერში ოჯახს იმის საშუალება არა ჰქონდა, რომ შაქრის თავისი უმნიშვნელო ნორმა ეყიდა. დედა და შვილები არასოდეს არ არიან მაძღარნი. ისინი დღეში მხოლოდ ერთხელ სჭამენ და ისიც მარტო ფაფას. დედა და ბავშვები ნახევრადშიმშილობისაგან დაავადებულნი არიან. ასეა ცხოვრება ახლა,— სწერს კორესპონდენტი,— ათასობით და ასიათასობით ფინელი ოჯახში“.

სასოწარკვეთილებასა და უპერსპექტივობის განწყობილებას ფინეთის პრესაც კი ამჩნევს. მაგალითად, გაზეთი „არბეტარბლადეტი“ ახალი წლისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში სწერს: „ახლა არა სჩანს ომის ბოლო, რომ იგი 1942 წელს დამთავრდება. ხალხი კი ზავს მოელის“. „რა სიკეთე მოგვიტანა ეს ბრძოლა, რომელიც მთელ რესურსებს ნთქავს?“—ძლევა კითხვას გაზეთი.

1938 წლის სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 21-ე ტირაჟის ცხრილი

1938 წლის სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 21-ე ტირაჟში მოგება ხვდა სერიებსა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს სესხის სამივე თანრიგში:

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგება მან.	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგება მან.
00013	1—40	400	38500	1—40	400
00652	1—40	1.000	39162	05*)	25 000
00743	14*)	10.000	39361	1—40	1 000
01792	1—40	400	39975	1—40	400
02598	1—40	400	40635	1—40	400
02903	1—40	400	40714	1—40	1 000
03242	1—40	400	40863	1—40	400
03361	1—40	400	41350	1—40	400
04828	1—40	400	42477	1—40	400
05432	1—40	1 000	42725	1—40	5 000
05824	22*)	10 000	43054	1—40	400
06142	1—40	1 000	43081	1—40	400
06149	1—40	400	43555	1—40	1 000
08485	1—40	400	43651	06*)	25 000
08884	1—40	400	44547	1—40	1 000
09211	1—40	400	44922	28*)	10 000
09410	1—40	400	46365	1—40	400
09806	1—40	1 000	46782	1—40	1 000
09908	1—40	400	48553	1—40	400
10287	1—40	400	49007	1—40	400
10737	1—40	400	49086	1—40	1 000
11597	1—40	400	49191	1—40	1.000
12095	1—40	400	49293	1—40	400
12848	12*)	10 000	50483	1—40	1 000
13125	1—40	400	50490	1—40	400
14012	1—40	1 000	53584	1—40	1 000
14059	34*)	10.000	54158	1—40	400
14405	1—40	400	54868	38*)	10 000
14926	1—40	400	55117	1—40	400
15433	29*)	10.000	55520	1—40	400
16986	1—40	400	56081	1—40	400
17368	1—40	400	56519	12*)	25 000
18488	1—40	5 000	57190	02*)	10 000
18907	1—40	400	58401	1—40	400
19864	1—40	400	60864	1—40	400
20339	33*)	10 000	61647	1—40	1.000
20377	1—40	400	61726	1—40	400
20448	1—40	400	61744	1—40	400
21845	25*)	10 000	62711	1—40	400
22728	1—40	1 000	63447	1—40	400
23118	1—40	400	64518	1—40	1.000
23226	1—40	1 000	64791	1—40	400
23788	1—40	1 000	65006	1—40	400
24744	1—40	400	65153	1—40	1 000
25040	1—40	1 000	65268	1—40	400
25102	1—40	400	65319	1—40	1 000
25310	29*)	10 000	65818	1—40	1 000
25780	33*)	10 000	65840	1—40	400
26818	1—40	400	66509	1—40	400
27362	17*)	10.000	68163	1—40	400
27528	17*)	10 000	69046	24*)	10.000
28028	1—40	400	69285	1—40	400
28455	1—40	1 000	69881	39*)	10.000
29278	1—40	1 000	69882	1—40	400
29425	1—40	400	70004	1—40	1 000
29748	40*)	10 000	70433	1—40	400
29796	1—40	400	70661	1—40	5.000
29964	1—40	400	70888	1—40	400
30085	1—40	1 000	70887	1—40	400
30821	1—40	400	70927	1—40	400
31298	1—40	400	72158	1—40	400
31403	17*)	10 000	72529	1—40	400
32378	1—40	1.000	72571	1—40	400
32872	1—40	400	73436	1—40	1.000
33167	1—40	400	73571	07*)	10 000
34687	1—40	400	73653	1—40	400
34989	1—40	400	73688	1—40	400
35789	1—40	400	74684	15*)	10.000
35961	1—40	1 000	74856	1—40	400
36529	1—40	400	74979	1—40	400
36949	1—40	400			
38202	02*)	25.000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 39 ნომერს ხვდა მოგება 400 მან.

რატომ არ ღებულობენ გაზეთს ხელისმომწერნი?

როგორც ვიცით, მიმდინარე წლისათვის გაზეთებზე („პრავდა“, „იზვესტია“, „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“ და სხვ.) ხელისმოწერა ჩატარდა 1941 წლის დეკემბრის დამლევს.

ხელისმომწერლები ფიქრობდნენ, რომ გამოწერილ გაზეთებს ყოველდღიურად მიიღებდნენ, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. ბევრ ხელისმომწერს დღემდე არ მიუღია გამოწერილი გაზეთი, რაზედაც მიმართეს ჩვენს რედაქციას.

რედაქციამ შეამოწმა საქმის ვითარება, და რა აღმოჩნდა?

აღმოჩნდა, რომ „სოიუზპეჩატის“ თბილისის განყოფილების ზოგიერთი მუშაკის (მაგალითად, შავიშვილი, ვართანოვა და სხვ.) დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად გაზეთის გამოწერის და ხელისმომწერთათვის მიწოდების საქმე მოუწესრიგებელია, რის გამო ბევრი ხელისმომწერი დღემდე გაზეთს ვერ ღებულობს.

რედაქციის წარმომადგენელმა „სოიუზპეჩატის“ თბილისის განყოფილებაში ნახა მრავალი საჩივარი (მაგალითად, მიქელაძის, კაცოშვილის, ნოდიასი, მეტრეველის, პატარიძის და სხვ.) კერძოდ „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტის“ მიუღებლობაზე. ამას გარდა რედაქციას აქვს ცნობები, რომ თბილისის ზოგიერთმა დაწესებულებამ და ხელისმომწერმა 3-4 დღის გაზეთები („კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“) ერთად მიიღეს.

თუ ზემოხსენებულს იმასაც დავუმატებთ, რომ ბევრი ხელისმომწერი გაზეთს, სამწუხაროდ, დიდი დაგვიანებით ღებულობს, ადვილი გასაგებია, რომ ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია.

როგორც „სოიუზპეჩატის“ საქ. განყოფილების უფროსმა გვაცნობა, მათ მიუღიათ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამნაშავეები ამ საქმეში არ უნდა დარჩნენ დაუსჯელნი, ხოლო საქმე ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ ყველა ხელისმომწერი გამოწერილ გაზეთს ღებულობდეს სისტემატურად და თავის დროზე.

თეატრებში

სახოპერა — 11 იანვარს — „ჩიო-ჩიო-სან“, 12 იანვარს — კონცერტი. **რუსთაველის სახელობის** — 11 იანვარს—„კაკვაძე“. **მარჯანიშვილის სახელობის** —11 იანვარს — „მკაცრი ქალიშვილები“, 11 იანვარს დღისით — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, 13 იანვარს — „მილიონის რისხვა“. **სანკულტურის** — 11 იანვარს — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მუსიკალური კომედიის** — 10 იანვარს — „თავა და ავი ძაღლი“, 11 იანვარს — „აყვავებული ბაღი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 11 იანვარს — „ხეპენის ოინები“ (მე-39 აბ., დასაწყ. დღის 11 ს., მე-29 აბ., დასაწყ. დღის 2 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი და სსრ კავშირის სამხატვრო ფონდი მწუხარებით იუწყებიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ **გიგო შარაბაჩიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/I 7 ს. ქ. ცეტკინის ქ. № 69. დაკრძალვა 11/I 3 ს. ვერის სასაფლაოზე.

სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის თანამშრომლები იუწყებიან

ექვთიმე იოსების-ძე შოლოკავას გარდაცვალებას. გამოსვენება 11/I 5 ს. დიდუბის, 12, კუკიის სასაფლაოზე. 35

სახელმწიფო სამართლის ადგილკომი იუწყება თანამშრომლის

ივანე ლევანის-ძე კაციტაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/I 7 ს. ვეძათხევის, 7 (ყოფ. ლისაგორის) გამოსვენება 11/I 2 ს. 36

თბილისის რაიონის იურიდიული კონსულტაცია იუწყება

ევგენია სიმონის-ასულ ჩუთათელაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/I 7 ს. გამოსვენება 11/I 2 ს. ნაძალადევის, 13. 37

მე-15 ათეულის თანამშრომლები იუწყებიან

მინადორა ვახტანგის-ასულ გაბურიას გარდაცვალებას. გამოსვენება 11/I 2 ს. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის პროზექტურიდან, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 38

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3-06-88; განყოფილებების: პარტიული და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80 — 83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3-80-84; სამხედროსი—3-57-61; წერილების—3-73-24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

უე 16